თიბისი ბანკის ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2016 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება....1
მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება....2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება....4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება....6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების თანდართული შენიშვნები

1 შესავალი....11
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა....12
3 მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებები და დაშვებები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას....27
4 ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები....28
5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები....28
6 ფული და ფულის ექვივალენტები....30
7 სახსრები სხვა ბანკებში....32
8 სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში....32
9 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები....32
10 გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები....41
11 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები....42
12 სხვა ფინანსური აქტივები....44
13 ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში....46
14 სხვა აქტივები....48
15 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები....50
16 საინვესტიციო ქონება....52
17 გუდვილი....53
18 ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ....55
19 კლიენტის ანგარიშები....55
20 გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები....57
21 შესრულების გარანტიების, საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები....58
22 სხვა ფინანსური ვალდებულებები....59
23 სხვა ვალდებულებები....59
24 სუბორდინირებული ვალი....59
25 სააქციო კაპიტალი....61
26 წილობრივი ინსტრუმენტები....62
27 სეგმენტის ანალიზი....66
28 საპროცენტო შემოსავალი და დანახარჯი....71
29 საკომისიო შემოსავლები და ხარჯები....72
30 სხვა საოპერაციო ხარჯები....72
31 პერსონალის ხარჯები....73
32 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები....73
33 მოგების გადასახადი....74
34 ფინანსური და სხვა რისკების მართვა....77
35 პირობითი ვალდებულებები....100
37 არასაკონტროლო წილი....102
38 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჩათვლა....104
39 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები....107
40 სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია....109
41 ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა საზომი კატეგორიებით....112
42 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან....114
43 კომპანიათა შერწყმა....117

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს თიბისი ბანკის აქციონერებს და მენეჯმენტს:

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონოსლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს თიბისი ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშრისო სტანდარტების შესაბამისად.

რისი აუდიტი გაკეთდა

სს თიბისი ბანკის და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- სხვა შენიშვნები კონსოლიდირებული ანგარიშგებისთვის, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახნა-განმარტებებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISA), ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცლად განხილულია სექციაში *აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ეთიკის კოდექსის მიხედვით. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები მოცემული კოდექსის მიხედვით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს ჯგუფის უნარი განაგრძოს მოქმედება ფუნქციონირებად საწარმოდ, განაცხადოს (შესაბამისობის შემთხვევაში) შენიშვნები ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობასთან დაკავშირებით და გამოიყენოს ეს პრინციპი ანგარიშგების პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მენეჯმენტი გეგმავს ჯგუფის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწვეტას, ან არ აქვს ამის სხვა რეალისტური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას

ჩვენი მიზანია მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და

გამოვუშვათ აუდირებული რეპორტი, რომელიც მოიცავს ჩვენ დასკვნას. უტყუარი რწმუნება არის რწმუნების მაღალი ხარისხი, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ ჩატარებული აუდიტისას აუცილებლად გამოაშკარავდება მატერიალური უზუსტობა არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობით, ან შეცდომით და ითვლება მატერიალურად, იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად, ან ჯამურად მოსალოდნელია მათ იქონიონ გავლენა მოცემული კონსოლიდირებული უწყისების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ შეფასებას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- აღმოვაჩენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მატერიალური უზუსტობების რისკს, თაღლითობით თუ შეცდომით, ვქმნით და ვასრულებთ მოცემული რისკების შესაბამის პროცედურებს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი მტკიცებულება დასკვნის საბუძვლად. თაღლითობით გამოწვეული უზუსტობის ვერ-აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს შეთანხმებებს, გაყალბებას, განზრახ უმოქმედობას, არასწორად წარმოჩენას და შიდა კონტროლების უგულვებელყოფას.
- მოვიპოვებთ აუდიტთან დაკავშირებული შიდა კონტროლების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი აუდიტის პროცესების დასაგეგმად, თუმცა არ ვიძლევით დასკვნას ჯგუფის შიდა კონტროლების ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ საანგარიშგებო პოლიტიკის შესაბამისობას და მენეჯმენტის მიერ გამოყენებული შეფასებების, დაშვებების და შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ მოქმედების დაშვებებსა და საფუძვლებს და მოპოვებული მტკიცებულებების მიხედვით ვაფასებთ მოცემულ დაშვებებში მატერიალური უზუსტობების არსებობას. მატერიალური უზუსტობების არსებობის შემთხვევაში, ვალდებული ვართ გავამახვილოთ ყურადღება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებში, ან შევცვალოთ ჩვენი დასკვნა, შესაბამისი შენიშვნების არაადეკვატურობის შემთხვევაში. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორის რეპორტის თარიღამდე მოპოვებულ მტკიცებულებებზე. თუმცა, მომავალ გარემოებებს შესაძლოა ქონდეთ გავლენა ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ მოქმედებაზე.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ანგარიშგების პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს შენიშვნების ჩათვლით და ასევე, მოიცავს, თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა აუცილებელ გარემოებას და ტრანზაქციას სამართლიანად პრეზენტაციისთვის.
- მოვიპოვებთ საკმარის მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი კომპანიების შესახებ ფინანსურ და საქმიანობის შესახებ ინფორმაციას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაკეთების მიზნით. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის კონსოლიდირებული აუდიტის დაგეგმვაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი მხოლოდ ჩვენს აუდირებულ დასკვნაზე.

ჩვენ ვახდენთ კომუნიკაციას კომპანიის მენეჯმენტთან, სხვა აუცილებელი საკითხების გარდა, აუდიტის პროცესის მიმდინარეობისას აუდიტის გეგმის, დროის მენეჯმენტის, მნიშვნელოვანი აღმოჩენების შესახებ, შიდა კონტროლებში აღმოჩენილი უზუსტობების ჩათვლით.

დასკვნა
(ხელმოწერილია)
2017 წლის 31 მარტი
თბილისი საქართველო

ათასი ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	944,767	720,347	532,118
სახსრები სხვა ბანკებში	7	23,824	11,042	33,704
სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	990,642	471,490	336,075
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	7,133,702	4,444,886	3,556,496
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	430,703	307,310	466,510
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები	11	372,956	372,092	-
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	13	95,031	75,760	50,907
საინვესტიციო ქონება	16	95,615	57,600	76,216
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		7,429	9,856	251
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	33	3,265	1,546	383
სხვა ფინანსური აქტივები	12	91,895	64,317	43,857
სხვა აქტივები	14	170,756	103,912	77,775
ძირითადი საშუალებები	15	313,584	247,767	208,692
არამატერიალური აქტივები	15	60,698	44,344	37,756
გუდვილი	17	26,892	2,726	2,726
სულ აქტივები		**10,761,759**	**6,934,995**	**5,423,466**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	18	2,199,976	1,113,574	749,285
კლიენტების ანგარიშები	19	6,461,582	4,177,931	3,322,428
სხვა ფინანსური ვალდებულებები	22	50,153	39,435	41,346
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება		2,579	912	12,433
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20	23,508	21,714	20,423
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	33	5,646	29,244	23,187
ვალდებულებებისა და დანახარჯების გადახდის რეზერვები	21	15,294	9,461	11,898
სხვა ვალდებულებები	23	62,851	40,627	34,975
სუბორდინირებული ვალი	24	368,381	283,648	188,015
სულ ვალდებულებები		**9,189,970**	**5,716,546**	**4,403,990**
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	25	20,617	19,587	19,576
აქციის პრემია	25	504,161	407,474	405,658
გაუნაწილებელი მოგება		960,060	712,743	532,992
წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი	26	23,327	12,755	4,624
შენობების გადაფასების რეზერვი		70,460	59,532	35,096
გასაყიდად ფლობილი ფასიანია ქაღალდების გადაფასების რეზერვი		(3,681)	5,759	8,675
სავალუტოგადაფასების კუმულატიური რეზერვი		(7,538)	(6,590)	5,484
ბანკის კაპიტალის მფლობელებისთვის მიკუთვნებული სუფთა აქტივები		**1,567,406**	**1,211,260**	**1,012,105**
არასაკონტროლო წილი	37	**4,383**	**7,189**	**7,371**
სულ კაპიტალი		**1,571,789**	**1,218,449**	**1,019,476**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**10,761,759**	**6,934,995**	**5,423,466**

ფინანსური ანგარიშები 7-106 გვერდებზე დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ და მისი სახელით 2017 წლის 31 მარტს ხელი მოაწერეს:

ვახტანგ ბუცხრიკიძე
აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი შაგიძე
ფინანსური დირექტორი

თიბისი ბანკის ჯგუფის მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარებში	შენიშვნები	2016	2015	2014
საპროცენტო შემოსავალი	28	766,410	649,059	512,357
საპროცენტო ხარჯი	28	(277,122)	(236,885)	(173,709)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**489,288**	**412,174**	**338,648**
საკომისიო შემოსავალი	29	142,802	113,837	88,203
საკომისიო ხარჯი	29	(52,110)	(41,546)	(29,523)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**90,692**	**72,291**	**58,680**
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებულ მოგებებს გამოკლებული დანაკარგები		70,159	64,642	39,730
სუფთა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(2,528)	2,579	2,359
სუფთა ზარალი (მოგება) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		(206)	(575)	(683)
სუფთა მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან		9,293	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	30	23,214	25,883	19,600
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი		**99,932**	**92,529**	**61,006**
სესხის გაუფასურების რეზერვი	9	(49,202)	(72,791)	(48,672)
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების რეზერვი	13	(558)	(967)	(77)
ვალდებულების შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვადებულებების რეზერვი		(771)	1,117	902
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	21	(2,569)	(3,351)	(1,236)
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაუფასურების რეზერვი	12	(11)	-	(22)
საოპერაციო შემოსავალი გაუფასურების რეზერვების გათვალისწინებით		**626,801**	**501,002**	**409,229**
პერსონალის ხარჯები	31	(171,304)	(142,777)	(122,835)
ცვეთა და ამორტიზაცია	15,16	(27,980)	(26,286)	(24,427)
ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი	21	(2,210)	(1,102)	(5,500)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	32	(108,201)	(82,964)	(73,548)
საოპერაციო ხარჯები		**(309,695)**	**(253,129)**	**(226,310)**
მოგება დაბეგვრამდე		**317,106**	**247,873**	**182,919**
მოგების გადასახადის ხარჯები	33	(17,421)	(29,176)	(24,468)
წლის მოგება		**299,685**	**218,697**	**158,451**
სხვა სრული მოგება:				
პუნქტები რომელიც შეიძლება რეკლასიფირებული იქნას მოგება-ზარალში				
გასაყიდად ფლობილი ინვესტიციების გადაფასება	10	522	(2,436)	(1,849)
მოგებას გამოკლებული რეალიზაციის შემდეგ მოგება-ზარალში ხელხლა გამოყენების ზარალი		(11,611)	-	-
საჩვენებელ ვალუტაში გადაფასების საკურსო სხვაობები		(948)	(12,075)	2,095
მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში	33	1,649	(479)	(192)
პუნქტები რომელიც არ შეიძლება რეკლასიფირებული იქნას მოგება-ზარალში:				
ძირითადი საშუალების გადაფასება		-	28,755	-
მოგების გადასახადი დაფიქსირებული სხვა სრულ მოგებაში	33	10,928	(4,319)	-
წლის სხვა სრული მოგება		**540**	**9,446**	**54**
სულ წლის სხვა სრული მოგება		**300,225**	**228,143**	**158,505**

თიბისი ბანკის ჯგუფის მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

მოგება მიკუთვნებული:			
- ბანკის მფლობელებისთვის	302,491	218,879	157,451
- არასაკონტროლო წილისთვის	(2,806)	(182)	1,000
წლის მოგება	**299,685**	**218,697**	**158,451**
სულ წლის სრული მოგება მიკუთვნებული:			
- ბანკის მფლობელებისთვის	303,031	228,325	157,505
- არასაკონტროლო წილისთვის	(2,806)	(182)	1,000
სულ წლის სრული მოგება	**300,225**	**228,143**	**158,505**

ათას ლარებში	შენიშვნა	მიეკუთვნება ბანკის კაპიტალის მფლობელებს								არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
		სააქციო კაპიტალი	აქციაზე პრემიაი	წილობრივი ინსტრუმენტების რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	ვალუტის გადაფასების კუმულატიური რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 1 იანვარისთვის 2014		**16,499**	**242,624**	**2,032**	**36,735**	**10,716**	**3,389**	**402,627**	**714,622**	**14,667**	**729,289**
წლის მოგება		-	-	-	-	-	-	157,451	**157,451**	1,000	**158,451**
სხვა სრული მოგება		-	-	-	-	(2,041)	2,095	**-**	**54**	**-**	**54**
სულ სრული მოგება 2014 წლისთვის		**-**	-	**-**	**-**	**(2,041)**	**2,095**	**157,451**	**157,505**	**1,000**	**158,505**
აქციების გამოშვება	25	3,077	172,493	-	-	-	-	-	**175,570**	**-**	**175,570**
წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვა	26	-	-	2,592	-	-	-	-	**2,592**	**-**	**2,592**
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები		-	(9,459)	-	-	-	-	-	**(9,459)**	**-**	**(9,459)**
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერებისგან დამატებითი წილის შესყიდვა		-	-	-	89	-	-	(2,627)	**(2,538)**	(8,296)	**(10,834)**
გადახდილი დივიდენდები		-	-	-	-	-	-	(26,492)	**(26,492)**	**-**	**(26,492)**
გადაფასების ნამეტის გადატანა გაუნაწილებელმოგებაში		-	-	-	(1,728)	-	-	2,033	**305**	-	**305**
ნაშთი 31 დეკემბრისთვის 2014		**19,576**	**405,658**	**4,624**	**35,096**	**8,675**	**5,484**	**532,992**	**1,012,105**	**7,371**	**1,019,476**
წლის მოგება		**-**	**-**	**-**	-	-	-	218,879	**218,879**	(182)	**218,697**
სხვა სრული მოგება		-	-	-	24,436	(2,916)	(12,074)	-	**9,446**	-	**9,446**
სულ სრული მოგება 2015 წლისთვის		**-**	-	**-**	**24,436**	**(2,916)**	**(12,074)**	**218,879**	**228,325**	**(182)**	**228,143**
წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვა	26	-	-	8,559	-	-	-	-	**8,559**	-	**8,559**
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები		-	1,419	-	-	-	-	-	**1,419**	-	**1,419**
გადახდის შედეგად წარმოქმნილი სააქციო კაპიტალის ზრდა		12	416	(428)	-	-	-	-	**-**	-	**-**
გადახდილი დივიდენდები		-	-	-	-	-	-	(39,128)	**(39,128)**	-	**(39,128)**
დაბრუნებული სახაზინო აქციები		(1)	(19)	-	-	-	-	**-**	**(20)**	-	**(20)**

თიბისი ბანკის ჯგუფის
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარებში	შენიშვნა	მიეკუთვნება ბანკის კაპიტალის მფლობელებს								არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
		სააქციო კაპიტალი	აქციაზე პრემიები	წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გასაყიდად ფლობილი ფინანსური ქაღალდების გადაფასების რეზერვი	ვალუტის გადაფასების კუმულატიური რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 31 დეკემბრისთვის 2015		**19,587**	**407,474**	**12,755**	**59,532**	**5,759**	**(6,590)**	**712,743**	**1,211,260**	**7,189**	**1,218,449**
წლის მოგება		**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	302,491	**302,491**	(2,806)	**299,685**
სხვა სრული მოგება		**-**	**-**	**-**	10,928	(9,440)	(948)	-	**540**	-	**540**
სულ სრული მოგება 2016წლისთვის		-	-	-	**10,928**	**(9,440)**	**(948)**	**302,491**	**303,031**	**(2,806)**	**300,225**
აქციების გამოშვება		1,031	98,969	**-**	-	-	-	-	**100,000**	**-**	**100,000**
წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვა	26	-	-	11,783	-	-	-	-	**11,783**	**-**	**11,783**
SBP-დან სააქციო კაპიტალის ზრდა		36	1,175	(1,211)	-	-	-	-	**-**	-	**-**
შესყიდული და გაუქმებული აქციები		(37)	(3,457)	-	-	-	-	-	**(3,494)**	-	**(3,494)**
გამოცხადებული დივიდენდები		**-**	-	-	-	-	-	(55,174)	**(55,174)**	-	**(55,174)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2016		**20,617**	**504,161**	**23,327**	**70,460**	**(3,681)**	**(7,538)**	**960,060**	**1,567,406**	**4,383**	**1,571,789**

ათას ლარებში	შენიშვნა	2016	2015	2014
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტი		735,704	633,093	499,052
გადახდილი პროცენტი		(274,955)	(235,157)	(182,572)
მიღებული საკომისიო		144,247	111,922	95,295
გადახდილი საკომისიო		(52,154)	(41,569)	(29,478)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი		70,411	64,642	39,730
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		8,411	18,006	13,804
გადახდილი პერსონალის ხარჯები		(147,764)	(133,354)	(116,481)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(103,182)	(79,669)	(74,703)
გადახდილი მოგების გადასახადი		(34,279)	(48,678)	(11,555)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**346,439**	**289,236**	**233,092**
სუფთა ცვლილება საოპერაციო აქტივებში				
სხვა ბანკებიდან გადასახდელი თანხები და სებ-ში საავალდებულო ნაშთი		(449,150)	(72,453)	(61,192)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(1,221,499)	(364,896)	(686,746)
ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში		(11,687)	(12,994)	(11,889)
სხვა ფინანსური აქტივებიი		(22,855)	(13,198)	593
სხვა აქტივები		(741)	7,159	11,056
სუფთა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში				
თანხები სხვა ბანკებში		268,078	(17,351)	39,539
კლიენტის ანგარიშები		1,156,780	249,598	336,631
სხვა ფინანსური ვალდებულებები		5,903	(415)	10,919
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯების უზრუნველყოფა		332	1,341	(5,187)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები		**71,600**	**66,027**	**(133,184)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	10	(143,980)	(475,417)	(845,665)
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან შემოსავლები	10	11,868	-	51,369
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებიდან მიღებული შემოსავლები	10	166,871	265,107	843,695
შვილობილი კომპანიების შეძენა მიღებული ფულის გარეშე	43	(200,700)	-	-
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების შეძენა		(304,109)	(183,084)	-
ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი თამასუქების გამოსყიდვიდან შემოსავალი		314,231	193,416	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(50,516)	(47,815)	(48,751)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		1,273	1,306	1,245
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები		7,822	22,166	15,452
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(197,240)**	**(224,321)**	**17,345**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
შემოსავლები სხვა ნასესხები სახრებიდან		905,500	582,198	370,124
სხვა ნასესხები სახსრებისგადახდა		(666,156)	(310,267)	(252,693)
შემოსავლები სუბორდინირებული ვალიდან		136,817	60,510	6,000
სუბორდინირებული ვალის გადახდა		(90,416)	(16,763)	-
შემოსავალი სავალო ინსტრუმენტების გამოშვებიდან		4,354	-	19,334
გამოშვებულისავალო ინსტრუმენტების გადახდა		(4,636)	-	(4,474)
გადახდილი დივიდენდები		(54,560)	(39,128)	(26,492)
დამატებითი წილის შეძენა არასაკონტროლო წილის მქონე აქციონერების მიერ		100,000	-	175,570
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		(3,495)	-	(10,923)
პირდაპირ კაპიტალში აღიარებული გარიგების ხარჯები		-	-	(9,458)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		**327,408**	**276,550**	**266,988**
სავალუტო კურსის ეფექტი		**22,652**	**69,973**	**(9,496)**

თიბისი ბანკის ჯგუფის
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარებში	შენიშვნა	2016	2015	2014
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**224,420**	**188,229**	**141,653**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	6	720,347	532,118	390,465
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	6	**944,767**	**720,347**	**532,118**

1 შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა თიბისი ბანკისა („ბანკი") და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (ერთობლივად მითითებული როგორც „ჯგუფი" ან „თიბისი ბანკის ჯგუფი") ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.სსთიბისიბანკი დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. ბანკი არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება და შეიქმნა საქართველოში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

ბანკის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილია: საქართველო, თბილისის 0102, მარჯანიშვილის ქ. 7.

2016 წლის 1 ივნისს თიბისი ბანკის ჯგუფი PLC ("TBCG"), ღია ტიპის სააქციონერო კომპანიამ, რეგისტრირებული ინგლისსა და უელსში 2016 წლის 26 თებერვალს, წარმოადგინა სატენდერო შემოთავაზება („სატენდერო შეთავაზება") რათა გადაეცვალა თავისი მთლიანი ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი ექვივალენტურის რაოდენობის ბანკის ჩვეულებრივ აქციებში და ამით შეეძინა მთლიანი გამოშვებული სააქციო კაპიტალი, მათ შორის ის აქციები, რომლებიც წარმოდგენილი იყო ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით ("GDRs"). სატენდერო შეთავაზების 2016 წლის 4 აგვისტოს წარმატებით დასრულების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით TBCG ფლობდა ბანკის სააქციო კაპიტალის 98.48%-ს, და წარმოადგენდა საბოლოო მთავარ მშობელ კომპანიას. თიბისი ბანკის ჯგუფი PLC –სრეგისტრირებული მისამართია St. Andrew 6, London, United Kingdom EC4A3AE.. თიბისი ბანკის ჯგუფი PLC–ის რეგსიტრაციის ნომერია 10029943.

2016 წლის 31 დეკემბრისთვის, 2015 წლის 31 დეკმერისთვის და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ქვემოთ მითითებული აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ ჯგუფის მთლიანი გამოშვებული აქციების 5%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ გამოშვებული აქციების 5%-ზე ნაკლებს. 2016 წლის 31 დეკემბრისთვის, 2015 წლის 31 დეკემბრისთვის და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ ჰყავდა მთავარი მაკონტროლებელი მხარე.

აქციონერები	შენიშვნა	31 დეკემბრისთვის წილის მფლობელობა,%		
		2016	2015	2014
TBC Bank Group PLC	25	98%	-	-
Bank of New York (Nominees), Limited*		-	71%	71%
შპს თიბისი ჰოლდინგი		-	16%	16%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი		-	-	-
JPMorgan Asset Management		-	-	-
Schroder Investment Management		-	-	-
Dunross & Co.		-	-	-
Liquid Crystal International N.V. LLC		-	5%	5%
Societe Generale SA		-	-	-
სხვა**		2%	8%	8%
სულ		**100%**	**100%**	**100%**

* 2015 და 2014 წლებში ყველა გლობალური სადეპოზიტო ხელწერილების მფლობელების წილის მფლობელობა ხორციელდება Bank of New York (Nominees), Limited-ის საშუალებით (დეპოზიტორი)

** სხვა მოიცავს ფიზიკურ პირებს და ასევე კორპორატიულ აქციონერებს.

2016, 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრისთვის ბენეფიციალური მფლობელობის წილის მიხედვით აქციონერთა სტრუქტურა შემდეგია:

აქციონერები	მფლობელობის წილი % 31 დეკემბრისთვის		
	2016	2015	2014
მამუკა ხაზარაძე	14.1%	14.8%	14.9%
ბადრი ჯაფარიძე	7.0%	7.4%	7.5%
ინსტიტუციური და საცალო ინვესტორები	55.3%	47.6%	44.3%
საერთ. ფინანს. ინსტიტუტები	19.3%	23.0%	26.7%
სხვა აქციონერები	4.3%	7.2%	6.6%
სულ	**100%**	**100%**	**100%**

1 შესავალი (გაგრძელება)

ძირითადი საქმიანობა. ბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა უნივერსალური საბანკო ოპერაციების განხორციელება, რომელიც მოიცავს კორპორატიულ, მცირე და საშუალო საწარმოების, საცალო და მიკრო ოპერაციებს საქართველოში. ბანკი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად 1993 წლის 20 იანვრიდან.

ბანკს აქვს 120 (2015: 128; 2014: 59) ფილიალი საქართველოში. ფილიალებისა და თანამშრომლების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია 2015 წლის იანვარში ბანკის სს ბანკ კონსტანტასთან შერწყმამ. 2016 წელს ჯგუფმა შეიძინა სს ბანკი რესპუბლიკა, რომელსაც 2016 წლის 31 დეკემბრისთვის ჰქონდა 41 ფილიალი, რომლებიც არ არის შეტანილი ფილიალების რაოდენობაში ზემოთ.

ბანკი არის საქართველოსა და აზერბაიჯანში რეგისტრირებულ კომპანიათა ჯგუფის („ჯგუფი") მშობელი ბანკი. კომპანიების ძირითადი საქმიანობაა კორპორატიული და ფიზიკური კლიენტებისთვის საბანკო, სალიზინგო, საბროკერო, საბარათე მომსახურებების გაწევა. ჯგუფში შემავალ კომპანიათა სია წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში.

საპრეზენტაციო (საჩვენებელი) ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი.წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს") ისტორიული ღირებულების კონვენციით, რომელიც შენობების, გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივების, სამართლიან ღირებულებაზე დაფუძნებული ფინანსური ინსტრუმენტების და შეძენის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ბიზნეს კომბინაციაში შეძენილი იდენტიფიცირებული აქტივების და აღებული ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების და მოგება-ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულების მიხედვით წარდგენის შესაბამისად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. ეს წესები მუდმივად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ შენიშვნა 3)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები.შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიებს, მათ შორის სტრუქტურირებულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს რადგან ჯგუფს (i) აქვს უფლება მართოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ უკუგებებზე, (ii) აქვს უფლებები სხვადასხვა სახის უკუგებაზე ასეთ წილობრივ მონაწილეობის მქონე კომპანიებში მისი მონაწილეობის გამო, და (iii) შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების მიმართ საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგების თანხაზე. მატერიალური უფლებების არსებობა და ეფექტი, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლებები გათვალისწინებულია როცა ხდება იმის შეფასება აქვს თუ არა ჯგუფს სხვა საწარმოზე გავლენა. იმისთვის, რომ უფლება იყოს მატერიალური, მის ფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული უნარი გამოიყენოს აღნიშნული უფლება მაშინ, როცა უნდა მიიღოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამის აქტივობების მართვის შესახებ გადაწყვეტილება. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს გავლენა წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე, მაშინაც კი, როცა ის ფლობს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაში უმრავლეობის ხმის უფლებაზე ნაკლებს. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლების ზომას სხვა ხმის უფლების მქონე მფლობელების ხმის მფლობელობის ზომასთან შედარებით საიმისოდ, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მას დე-ფაქტო უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის აქტივობებში ფუნდამენტურ ცვლილებებთან ან ისეთი უფლებები, რომლებიც მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში გამოიყენება, არ დაიცავს ჯგუფს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის კონტროლისგან. შვილობილი კომპანიები დაკონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შეძენის თარიღი), და ტოვებს ჯგუფს კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მოიცავს შემდეგ მთავარ შვილობილ კომპანიებს:

კომპანიის სახელი	31 დეკემბერისთვის წილის მფლობელობა,ხმის უფლების % 2016	2015	2014	საქმიანობის ან რეგისტრაციის ადგილი	რეგისტრაციის წელი	დარგი
ბანკი რესპუბლიკის ჯგუფი	100%	-	-	თბილისი,საქართველო	1992	საბანკო საქმიანობა
შპს მერცხალი პირველი	100%	-	-	თბილისი, საქართველო	2009	საოპერაციო ლიზინგი
სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია	98.67%	98.67%	98.67%	თბილისი, საქართველო	1997	ბარათების პროცესინგი
შპს თიბისი კაპიტალი	100%	100%	100%	თბილისი, საქართველო	1999	საბროკერო
სს თიბისი ლიზინგი	99.61%	99.57%	99.48%	თბილისი, საქართველო	2003	ლიზინგი
შპს თიბისი კრედიტი	75%	75%	75%	ბაქო, აზერბაიჯანი	2008	არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტი
შპს საბანკო სისტემის მომსახურების კომპანია	100%	100%	100%	თბილისი, საქართველო	2009	საინფორმაციო მომსახურებები
შპს თიბისი ფეი	100%	100%	100%	თბილისი, საქართველო	2009	დამუშავება
სს უძრავი ქონების მართვის ფონდი	100%	100%	100%	თბილისი, საქართველო	2010	უძრავი ქონების მართვა
შპს თიბისი ინვესტი	100%	100%	100%	რამათ განი, ისრაელი	2011	საზ. ურთიერთობა და მარკეტინგი
სს ბანკი კონსტანტა		-	100%	თბილისი, საქართველო	2011	ფინანსური ინსტიტუტი
შპს მალი	100%	100%	100%	თბილისი, საქართველო	2011	უძრავი ქონების მართვა

რეგისტრაციის ან დაფუძნების ქვეყანა ასევე არის ზემოთ მითითებული შვილობილი კომპანიების მოქმედების მთავარი არე. 2015 წლის 21 იანვარს ჯგუფმა დაასრულა სს ბანკი კონსტანტას თიბისი ბანკთან შერწყმის სამართლებრივი და საოპერაციო პროცესი.

საწარმოთა გაერთიანება ხორციელდება შეძენის მეთოდის გამოყენებით. შეძენის ღირებულება იზომება უზრუნველყოფის, მათ შორის გაცვლის დღეს პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია როგორც ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როცა ის წარმოქმნა. შეძენილი იდენტიფიცირებული აქტივები და ვალდებულებები და ბიზნესის გაერთიანებაში აღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები იზომება შეძენის თარიღისთვის არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილს და უფლებამოსილებას ანიჭებს მფლობელს მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან: (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილები, რომლებიც არ წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილებს, იზომება სამართლიანი ღირებულებით.
გუდვილი იზომება შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული მთლიანი უზრუნველყოფიდან შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების დაქვითვით, შეძენილ კომპანიაში არასაკონტროლო წილის მოცულობით და შეძენის თარიღამდე მყისიერად ფლობილ შეძენილ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი") აღიარებულია მოგება-ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს გამოავლინა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და ყველა ვალდებულება და აღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები, და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული უზრუნველყოფა იზომება დათმობილი აქტივების, გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების და წარმოქმნილი ან აღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის პირობითი უზრუნველყოფიდან აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ გამორიცხავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურებები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯები იქვითება კაპიტალიდან; ვალის გაცემასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ოპერაციების ხარჯები იქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა ოპერაციების ხარჯი გაწეულია.
ჯგუფში შემავალ კომპანიათა შორის ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციებზე არარეალიზებული მოგებები იქვითება; არარელიზებული დანაკარგები ასევე იქვითება, თუ ხარჯების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას.

არასაკონტროლო წილი არის შვილობილი კომპანიის საბოლოო შედეგის ან კაპიტალის ნაწილი მიკუთვნებული წილებს, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს ბანკი. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

შვილობილი კომპანიების, გაერთიანებების ან ერთობლივი საწარმოების გასხვისება. როცა ჯგუფს აღარ აქვს კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, საწარმოში არსებული ნებისმიერი შენარჩუნებული წილი ხელახლა იზომება მის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში, მოგება-ზარალში აღიარებული საბალანსო ღირებულებაში ცვლილების გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულება არის გაერთიანების, ერთობლივი საწარმოს ან ფინანსური აქტივის შენარჩუნებული წილის შემდგომ აღრიცხვასთან დაკავშირებული თავდაპირველი საბალანსო ღირებულება. გარდა ამისა, აღნიშნულ საწარმოსთან დაკავშირებით მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული ნებისმიერი თანხა ნიშნავს თითქოსდა ჯგუფმა პირდაპირ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხა ხელახლა გამოიყენება მოგება-ზარალის მიმართ.
თუ გაერთიანებაში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა შენარჩუნებულია, მხოლოდ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხების პროპორციული წილი ხელახლა იქნება კლასიფიცირებული მოგება-ზარალში, თუ შესაძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის მთავარი პირობები. თავიანთი კლასიფიკაციიდან გამომდინარე ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთაა წარმოდგენილი.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ის ბაზარი, სადაც აქტივსა ან ვალდებულებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების და ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რაოდენობის კვოტირებული ფასის პროდუქტი. ასეა მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელიც არ არის გამოტანილი აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ, იზომება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული ნეტო გრძელვადიანი პოზიციის (ე.ი. აქტივის) გაყიდვის მიმართ, ან რომელიც გამოიყენება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული ნეტო ხანმოკლე პოზიციის (ე.ი. ვალდებულები) გადაცემის მიმართ საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების გადაცემა კანონიერი ტრანზაქციის საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის. ეს წესი განმეორებით გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების მიმართ, თუ ჯგუფი: (ა) მართავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს ორგანიაციის კონკრეტული საბაზრო რისკების ნეტო სიდიდის მიმართ ან კონკრეტული პარტნიორის საკრედიტო რისკის მიმართ ამ ორგანიაციის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად; (ბ) ის წარუდგენს ინფორმაციას აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მთავარ პერსონალს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის კონკრეტული საბაზრო რისკის გავლენის ხანგრძლივობა, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შედეგად არსებითად იგივეა.

2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულის ნაკადების მოდელები ან ბოლო დროს კომერციულ ოპერაციებზე დაფუძნებული მოდელები ან ინვესტიციების მიმდებების ფინანსური მონაცემების ანალიზურება გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რომლისთვისაც ხელმიუწვდომელია უცხოური საბაზრო ფასების ინფორმაცია.სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i) პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) შეფასებები. (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასებების მეთოდები, რომლებიც კი გამოიყენება აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. ეს შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან ბაზარზე არარსებულ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემები ჩაითვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 0.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტები ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად მიცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს. თვითღირებულებით შეფასება გამოიყენება მხოლოდ კომპანიაში წილის დამადასტურებელ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინვესტიციების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი, რომლის სამართლიანი ღირებულება ვერ გაიზომება საიმედოდ და დაკავშირებული წარმოებულები უნდა დარეგულირდეს კომპანიაში ასეთი არაკვოტირებული წილის დამადასტურებელი დოკუმენტის მიწოდებით. იხილეთ შენიშვნა 10.

ტრანზაქციული დანახარჯები არის ზღვრული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიმართულია ფინანსური ინსტრუმენტების შეძენაზე, გაცემასა ან გასხვისებაზე. ზღვრული ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ წარმოიქმნებოდა თუკი არ განხორციელდებოდა ოპერაცია. საოპერაციო ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც გამყიდველი აგენტები) კონსულტანტებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ანაზღაურებას ან საკომისიოს, რომელიც განსაზღვრულია მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ, და საკუთრების გადაცემისთვის განსაზღვრულ გადასახადებსა და ბაჟს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ვალების დისკონტებს, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირი თანხის დასაფარად გადახდები, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში გამოკლებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ნებისმიერი ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებულ საოპერაციო ხარჯებს და ნებისმიერი პრემიის ან გადასახდელი თანხის დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტიდან შემოსავალი და დარიცხული პროცენტის გადახდაზე დანახარჯი, რომელიც მოიცავს როგორც დარიცხვის კუპონს, საამორტიზაციო დისკონტს ან პრემიას (წარმოქმნისთანავე გადავადებული გადასახადების ჩათვლით, თუკი არის), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაკავშირებული პუნქტების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის პროცენტიდან შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების) ფინანსური ინსტრუმენტის სუფთა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულის ნაკადებს მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებულ მცოცავ განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ შეესაბამება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზებულია ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხრეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლის და დანახარჯის აღიარების პოლიტიკა).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, წარმოებულები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალი თავდაპირველად დარეგისტრირებულია სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად რეგისტრირებულია სამართლიანი ღირებულებით პლიუს საოპერაციო ხარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებას დაქვემდებარებული მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებული ბაზრებიდან მონაცემებს.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვს რეგულაციით ან საბაზრო კონვერსიით დადგენილ ვადებში მიწოდებას („რეგულარული წესით" შესყიდვები და გაყიდვები) რეგისტრირებულია გარიგების დღეს, რომელ დღესაც, ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო დებულებების ნაწილი.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი აუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები ან შეინარჩუნა საკვალიფიკაციო გამტარ გარიგებაში, რომლის დროსაც (i) ასევე განახორციელა აქტივების მფლობელობით გამოწვეული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ან (ii) არ განახორციელა მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, გარდა კონტროლის უფლების შენარჩუნებისა. კონტროლის უფლების შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიჰყიდოს აქტივი მთლიანად კავშირში არ მყოფ მესამე მხარეს გაყიდვებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები არის პუნქტები, რომლებიც იოლად კონვერტირდება არსებულ ვალუტებს შორის და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროში ფულადი სახსრების ნაშთს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, ყველა ბანკთაშორის განთავსებას და ბანკთაშორის დებიტორულ დავალიანებას სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. სამ თვეზე მეტი პერიოდით დაბანდებული სახსრები არ შედის ფულსა და ფულის ექვივალენტებში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებებში წარმოდგენილი გადახდილი ან მიღებული თანხები ასახავს ჯგუფის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულის ექვივალენტების გადარიცხვებს, მათ შორის ჯგუფში მისივე პარტნიორების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ ან კრედიტირებულ თანხებს, როგორიცაა კრედიტის პროცენტიდან შემოსავალი ან კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ან საპროცენტო გადახდების ანკლიენტის მიმდინარე ანგარიშზე კრედიტირებული სესხების გადახდებიდან ძირითადი თანხის ამოღებით, რომელიც წარმოადგენს კლიენტისგან მიღებულ ფულსა ან ფულის ექვივალენტს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში. სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიტომ ფულის ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშებთან დაკავშირებით არ ითვლება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად.

გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამგვარი კლასიფიკაცია მოიცავს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, რომლის ფლობასაც ჯგუფი დროის გარკვეული პერიოდით აპირებს და რომელიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის ან საპროცენტო განაკვეთებში, გაცვლით კურსსა ან კაპიტალის ფასებში ცვლილების მოთხოვნის შესაბამისად. ჯგუფი ახდენს ინვესტიციების კლასიფიკაციას შესყიდვის დროს.

გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. სავალო ვალდებულებების სახით გასაყიდად ფლობილი ფასიან ქაღალდებზე პროცენტიდან შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში. გასაყიდად არსებულ წილობრივ ინსტრუმენტებზე დივიდენდები აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში, როცა ჯგუფის უფლება მიიღოს გადახდილი თანხა განისაზღვრება და შესაძლებელი გახდება დივიდენდების მიღება. სამართლიან ღირებულებაში ცვლილების ყველა სხვა ელემენტი გადაიდება კაპიტალში, სანამ ინვესტიციის აღიარება არ გაუქმდება ან შემცირდება, და ასეთ შემთხვევაში კუმულატიური მოგება ან ზარალი აღირიცხება კაპიტალიდან მოგებასა ან ზარალში. თვითღირებულების შემცირებიდან ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, როცა ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის დადგომის შემთხვევა") შედეგად, რომელიც მოხდება გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების თავდაპირველი აღიარების შემდეგ.
წილობრივ ფასიან ქაღალდებში მის ღირებულებაზე ქვემოთ სამართლიანი ღირებულებაში მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება არის მისი გაუფასურების ინდიკატორი. გაუფასურების შედეგად კუმულატიური ზარალი – რომელიც იზომება შეძენის ღირებულებასა და არსებულ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობით, გამოკლებული ადრე აღიარებულ აქტივზე მოგებასა ან ზარალში ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი - კაპიტალიდან აღირიცხება და აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. წილობრივ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი არ ბრუნდება მოგება-ზარალის პუნქტის საშუალებით. თუ შემდგომ პერიოდში, გასაყიდად ფლობილის სახით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება. ზრდა შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იყოს მოგებასა ან ზარალში აღიარებულ გაუფასურებით გამოწვეულ ზარალის შემდეგ წარმოქმნილ მოვლენასთან, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შეიცვლება მოგებით აღნიშნულ წელს.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები. ყიდვა გაყიდვის ხელშეკრულებები („რეპო ხელშეკრულებები"), რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას კონტრაგენთან, ითვლება უზრუნველყოფილ ფინანსურ გარიგებებად. კრედიტორი უზრუნველყოფს სახსრებს მსესხებელისთვის და გირაოს სახით იღებს უზრუნველყოფას. ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით გაყიდული ფასიანი ქაღალდები არ არის ჩამოწერილი ბალანსიდან. ფასიანი ქაღალდები არ განიცდის რეკლასიფიკაციას ბალანსის სხვა პოზიციაზე გადატანით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა შემძენ პირს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები.

გადაყიდვის ხელშეკრულებით ნაყიდი ფასიანი ქაღალდები („რევერსული რეპო ხელშეკრულება"), რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას ჯგუფში, რეგისტრირებულია როგორც სხვა ბანკებში არსებული სახსრები ან კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. გაყიდვისა და ხელახალი შესყიდვის ფასს შორის სხვაობა ითვლება პროცენტიდან შემოსავლად და გროვდება რეპო ხელშეკრულებების პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სახსრები სხვა ბანკებში. სხვა ბანკებში სახსრები ფიქსირდება მაშინ, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას პარტნიორ ბანკებზე, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე მეტია და არ აქვს ფიქსირებულ ან დადგენილ ვადებში დასაფარი არაკვოტირებული არა-წარმოებული დებიტორული დავალიანების სხვაზე გადაცემის განზრახვა. სხვა ბანკებში სახსრები აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები რეგისტრირდება, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას კლიენტისგან ფიქსირებულ ან დადგენილ ვადებში დასაფარი არაკვოტირებული არა-წარმოებული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან შექმნის მიზნით და არ აქვს დებიტორული დავალიანებების გადაცემის განზრახვა. კლიენტებისთვის გადასახდელი სესხები და ავანსები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

თუ ფინანსური აქტივები ხელახალა გადაიხედება და ამის შედეგად დადგენილი პირობები არსებითად განსხვავდება ადრინდელი პირობებისგან, ახალი აქტივი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

მორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლების ფლობასაც ჯგუფი აპირებს განუსაზღვრელი ვადით და რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის საჭიროების ან საპროცენტო განაკვეთებში, გაცვლით კურსებსა ან აქციების ფასების ცვლილების შემთხვევაში, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებული იყო როგორც გასაყიდად ფლობილი ინვესტიციები. 2015 წელს ჯგუფმა თავიდან შეაფასა თავისი განზრახვა ამ კატეგორიაში შემავალ გარკვეულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით და გამოავლინა ისეთი ინვესტიციები, რომლებთან დაკავშირებითაც ჯგუფს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა იქონიოს ისინი ვადის ამოწურვამდე. იმ ფაქტის გამო, რომ საკმარისი სიხშირით ან მოცულობით არ ხორციელდება ასეთ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ისეთი გარიგებები რომლებიც მათი შესაბამისი ფასის მუდმივ რეჟიმში დადგენის საშუალებას იძლევა ასეთი ფასიანი ქაღალდები აქტიურ ბაზარზე კვოტირებულად არ მიიჩნევა და შესაბამისად ისინი გადატანილია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში და არა ვადის ბოლომდე ფლობილი ინვესტიციების ჯგუფში. ეს ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის უწყისში როგორც ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები.

როცა ხდება ფიქსირებული ვადის მქონე გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში, მისი ახალი ღირებულება შეესაბამება აღნიშნული თარიღისთვის მოცემული აქტივის სამართლიან ღირებულებას. აღნიშნულ აქტივზე ნებისმიერი ადრინდელი მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ამორტიზდება მოგება-ზარალში ინვესტიციის დარჩენილი ვადის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, როცა ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის დადგომის შემთხვევა") შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის მიმართ შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების თანხასა და ვადაზე, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ჯგუფი ახორციელებს მისი სესხების კლასიფიკაციას მნიშვნელოვნად და არამნიშვნელოვნად გაუფასურების რეზერვის შეფასების მიზნით და აფასებს გაუფასურებას ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოვლენები წარმოჩენილია ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული გაუფასურების მტკიცებულებად საიმისოდ, რომ გარანტირებული იყოს დანაკარგის რაც შეიძლება მალე გამოვლენა.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ გაუფასურებით გამოწვეულმა ზარალმა გავლენა მოახდინა მნიშვნელოვან საკრედიტო რისკებზე, ბანკი აფასებს მსესხებელს ინდივიდუალურად და ზომავს დანაკარგის მოცულობას, როგორც სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების არსებულ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფიქსირებული განაკვეთიანი სესხების თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ან ცვლად განაკვეთიან სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთზე არსებული რისკის შესაბამისად. დაფარვისთვის ბანკი განიხილავს ორი ტიპის წყაროს: ფულადი დაფარვა და/ან გირაოთი დაფარვა. ფულადი დაფარვებისთვის შეფასებული ამოღებადი თანხა ტოლია შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი ღირებულების. გირაოთი დაფარვები ასახავს ფულად ნაკადებს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ზღვევინებაზე მიმართული გირაოს შედეგად. ბანკი იყენებს თავის შეფასებებს მომავალი დაფარვების შესაფასებლად, რისთვისაც იყენებს სცენარის ანალიზს და ითვალისწინებს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ ყველა შესაბამის ინფორმაციას მათ შორის საერთო მაკროეკონომიკურ გარემოში ან მსესხებელის მოქმედების სფეროში არსებულ უარყოფით ცვლილებებს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ ჯგუფი ჩათვლის რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება წარმოიქმნა ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, ის მოიცავს აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ერთობლივად აფასებს მათ გაუაფსურებას. ერთობლივი შეფასების მიზნით, რისკები დაჯგუფებულია მსგავსი რისკების კატეგორიაში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ჯგუფის საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებში შეტანილია, მაგრამ არა მხოლოდ: კონტრაგენტის ტიპი, პროდუქტის ტიპი, რისკის ვადაგასული სტატუსი, რესტრუქტურიზაციის სტატუსი და გირაოს ტიპი.

კოლექტიურად შეფასებული კრედიტების გაუფასურების რეზერვის გასაანგარიშებლად, ბანკი აფასებს რისკის შემდეგ პარამეტრებს: ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა, გამოსწორების სიჩქარე, სიცოცხლისუნარიანოს პროცენტი და დეფოლტის გამომწვევი ზარალი, რომელიც ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას. თუ არსებობს შიდა ან გარე გარემოება და ისტორიული თარიღი გავლენას აღარ ახდენს მიმდინარე სიტუაციაზე, ბანკი აკორექტირებს რისკის პარამეტრების არსებულ დაკვირვებას დაქვემდებარებული მომაცემების საფუძველზე, რათა ასახოს არსებული მდგომარეობის ეფექტი, რომელიც გავლენას ვერ ახდენს გასულ პერიოდებზე და აღმოფხვრას წარსული პირობების ეფექტი, რომელიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებელის ან გამომშვების ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გაიზომება პირობების შეცვლამდე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი მანამდე აღიარებულ გაუფასურების ზარალს შეცვლის იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების აღიარების შემდეგ, გაუფასურების შედეგად დანაკარგის მოცულობა შემცირდება და ეს შემცირება უკავშირდება ობიექტურ მოვლენას. ადრე აღიარებული გაუფასურების შედეგად დანაკარგის შეცვლა ხდება რეზერვის ანგარიშის მოგება-ზარალის კორექტირებით. იმისთვის, რომ მოხდეს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის განსაზღვრული რეზერვების შეცვლა, უნდა არსებობდეს ობიექტური მტკიცებულება, რომ მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა ან არის ცვლილება გირაოთი დაფარვის მდგომარეობაში. კოლექტიურად შეფასებული მსესხებლებისთვის ბანკი იყენებს ცნებას „კარანტინის პერიოდი", ეს არის პერიოდი, რომელიც საჭიროა კრედიტის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად საიმისოდ რომ მოხდეს მისი საკრედიტო კატეგორიაში რეკლასიფიკაცია.

გირაოში დასაკუთრებული ქონება. დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს გადავადებული სესხების დასაფარად ჯგუფის მიერ შეძენილ არაფინანსურ აქტივებს. ეს აქტივები შეძენისას თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შეტანილია ძირითად საშუალებებში, საინვესტიციო ქონებაში ან სხვა აქტივებში არსებულ მარაგებში მათი ხასიათიდან და ამ აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის განზრახვიდან გამომდინარე. ისინი ხელახლა ფასდება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. კერძოდ, ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები. ჯგუფი იღებს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებს, მათ შორის აკრედიტივებს და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გამოუხმობ უზრუნველყოფას განხორციელდეს გადახდები იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე მხარეების მიმართ მის ვალდებულებებს. გარანტიებს აქვთ იგივე საკრედიტო რისკები რაც სესხებს. ფინანსური გარანტიები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება მთელი ვალდებულების პერიოდში წრფივი მეთოდით, გარდა წარმოქმნილი სესხების ვალდებულებებისა, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ სესხის გაცემის შეთანხმებაში და არ აპირებს ამ სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე ხანში; ასეთი სესხის საკომისიო გადავადებულია და შეტანილია თავდაპირველი აღიარებისას სესხის საბალანსო ღირებულებაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ეს ვალდებულებები ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესად: (i) თანხის არაამორტიზებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას (ii) თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესო ხარჯთაღრიცხვით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესრულების გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს საკონტრაქტო ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტები არ იწვევს საკრედიტო რისკის გადაცემას. შესრულების გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული მოსაკრებლების თანხით. ეს თანხა ამორტიზებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე კონტრაქტის მთელი პერიოდის განმავლობაში. თვითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შესრულების გარანტიის კონტრაქტები ფასდება იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელია დისკონტირებულ არსებულ ღირებულებამდე კონტრაქტის დასაფარად თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ დისკონტირების ეფექტი მნიშვნელოვანია.
ბანკს აქვს საკონტრაქტო უფლება დაუბრუნდეს თავის კლიენტს იმ თანხების დასაფარად, რომლებიც გადახდილია შესრულების გარანტი კონტრაქტის დასარეგულირებლად, ასეთი თანხები აღიარებულია როგორც სესხები და დებიტორული დავალიანებები.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები, გარდა შენობებისა და მიმდინარე მშენებლობებისა, მითითებულია თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი. შეძენილი შვილობილი კომპანიების ძირითადი საშუალებების ღირებულება არის შეძენის თარიღისთვის შეფასებული სამართლიანი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მიწა, შენობები და მიმდინარე მშენებლობები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით (რომელიც გადაფასების თარიღისთვის არის სამართლიანი ღირებულება), გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.გადაფასებები საკმაოდ ხშირად ხდება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საანგარიშო წლის ბოლოს სამართლიანი ღირებულებისგან.
გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ჩართული ჩამოფასების შებრუნება. ამ შემთხვევაში, მატება აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ მატებას, და გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.
გადაფასებული შენობების ცვეთა ირიცხება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების გაყიდვის შემდეგ, გაყიდულ ან ძირითადი აქტივებიდან გასულ კონკრეტული აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში.

მცირე რემონტისა და ტექმომსახურების ხარჯში აღიარება ხდება მათი წარმოქმისთანავე. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი კი ჩამოიწერება.

გაუფასურების შემთხვევაში, ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება მათი უფრო მაღალი გამოყენების ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები. საბალანსო ღირებულების კლება ირიცხება მოგება-ზარალში, თუ ის აღემატება კაპიტალში ადრე გადაფასებულ ნამეტს. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შეიცვლება, თუ მოხდება შებრუნება იმ შეფასებაში, რომელიც გამოიყენება აქტივის გამოყენების ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრისთვის, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალიზაციიდან მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება სარეალიზაციო ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით, აღიარებული იქნება მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობები	30 – 100 წელი;
ავეჯი და მოწყობილობები5	8 წელი;
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	3 – 8 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	4 – 5 წელი;
სხვა აღჭურვილობა	2 – 10 წელი; და

იჯარით აღებული ობიექტის რემონტი - იჯარის ვადა ან თუ ვადა განუსაზღვრელია არაუმეტეს 7 წლისა

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი მიიღებს აქტივის გასხვისებით, რეალიზაციის ხარჯების შემდეგ, თუ აქტივი უკვე ძველია და არის იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის უნდა იყოს მისი მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ ჯგუფი აპირებს მის გამოყენებას მისი მომსახურების ფიზიკური ვადის ბოლომდე. აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში არსებული ქონება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ზრდის მიზნით, ან ორივე ერთად, და რომელიც არ აქვს დაკავებული ჯგუფს.

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, თუ არსებობს ასეთი. საინვესტიციო ქონება ამორტიზდება წრფივად ოცდაათიდან ორმოცდაათ წლამდე მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი განსაზღვრავს ამოღების სავარაუდო თანხას გამოსაყენებელ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (რეალიზაციის ხარჯების შემდეგ) შორის უდიდესით. საინვესტიციო საკუთრების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერა ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოიგებასა ან ზარალში დარიცხვით. გაუფასურების შედეგად წინა წლებში აღიარებული ზარალი შებრუნდება, თუ იქნება შემდგომი ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაღვრისას გამოყენებულ შეფასებებში.

საინვესტიციო საკუთრებაში შეტანილი მიწა არ იცვითება. საინვესტიციო საკუთრებების სხვა ქონებების გაუფასურება გაანგარიშდება წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რათა გაანაწილონ მათი თვითღირებულება მათ ნარჩენ ღირებულებაზე 30 წლიდან 50 წლამდე გაანგარიშებული ექსპლუატაციის ვადაში. საინვესტიციო საკუთრების ნარჩენი ღირებულება შეფასებულია როგორც ნული.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში წლის მოგება-ზარალში.

შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზდება და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, მხოლოდ როცა ნავარაუდევია, რომ დანახარჯებთან დაკავშირებულია მომავალი ეკონომიკური სარგებელის ზრდა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტი და ტექნიკური მომსახურება აღიარდება ხარჯებში მათი წარმოქმნისთანავე.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი ე.ი. მისი ტექმომსახურება, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოქმნისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 2-დან 15 წლამდე ექსპლუატაციის პერიოდში.

ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში. თუ ჯგუფი მეიჯარეა იჯარაში, რომელიც გადასცემს მოიჯარეს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგენილია როგორც ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები და აღრიცხულია მომავალი საიჯარო გადასახადების არსებული ღირებულებით. ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში თავდაპირველად აღიარებულია დასაწყისში (როცა იჯარის ვადა იწყება) დისკონტის განაკვეთის გამოყენებით (საიჯარო ხელშეკრულების დასაწყისში და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების დღეს).

სხვაობა სრულ დებიტორულ დავალიანებასა და არსებულ ღირებულებას შორის წარმოადგენს მომავალი პერიოდების ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღირდება ლიზინგის ვადის პერიოდში საბოლოო კურსის მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე), რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდულ მოგების ნორმას. იჯარის შეთანხმებასა და უზრუნველყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული ზრდადი დანახარჯები შეტანილია ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადაში აღიარებული შემოსავლის მოცულობას.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენისგან („ზარალის წარმოქმნის შემთხვევები") ინვესტიციის თავდაპირველი აღიარების შემდეგ გაუფასურების სტატუსის დასადგენად ჯგუფი იყენებს იმავე მეთოდებს, რასაც სესხების შემთხვევაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია ზარალის შეფასების ანგარიშში, რათა დებიტორის წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოიწეროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე (რომელიც გამორიცხავს მომავალ საკრედიტო ზარალს, რომელიც არ წარმოქმნილა) ფინანსური ლიზინგის დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთებით.გაანგარიშებული მომავალი ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარის შესაბამისად აქტივების შეძენისა და გაყიდვის შედეგად.

შეწყვეტილი ლიზინგების შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები.კომპანია აღიარებს შეწყვეტილი სალიზინგო კონტრაქტებიდან დებიტორულ დავალიანებებს იჯარის კონტრაქტის შეწყვეტის მომენტში. ეს დებიტორული დავალიანებები შეფასებულია თანხით, რომელიც მოიცავს ხელახლა მფლობელობაში დაბრუნებული აქტივების სამართლიან ღირებულებას და ფინანსურ იჯარაში წმინდა ინვესტიციის გადაუხდელ ნაშთებს შორის სხვაობას. დებიტორული დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მასზე გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები. საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები მოიცავს პროცენტიან ავანსებს, რომლებიც გადახდილია ისეთი აქტივების შესაძენად, რომლებიც შემდგომში საიჯარო აქტივებად გადაკლასიფიცირდება. ასეთი ავანსები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ამ ღირებულებაზე გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. იჯარების დასაწყისში, საიჯარო კონტრაქტების მიმართ გადახდილი ავანსები გამოიქვითება ფინანსური იჯარის წმინდა ინვესტიციიდან.

სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში. საკრედიტო დაწესებულებების მიმართ დავალიანებები წარმოიქმნება, როცა ფული ან სხვა აქტივები გადაეცემა ჯგუფს სხვა ბანკების მიერ. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებასა ან ზარალში.

კლიენტის ანგარიშები. კლიენტის ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან კორპორატიული კლიენტების მიმართ არაწარმოებული ვალდებულებები და აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალი მოიცავს გრძელვადიან არაწარმოებულ ვალდებულებებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით. სუბორდინირებული ვალის გადახდა ხორციელდება ყველა სხვა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის „მე-2 რიგის კაპიტალში".

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო კონტრაქტები, პროცენტული ფიუჩერსები, მომავალი საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო სვოპები, სავალუტო და საპროცენტო ოფციონები აღრიცხულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ვალუტების გაცვლის მიზნით ჯგუფი ასევე შედის დეპოზიტების საკომპენსაციო შეთანხმებაში თავის პარტნიორ ბანკებთან. ასეთი დეპოზიტები, თუ ისინი კანონიერად გამოყოფილია, დაჯგუფებულია და ასახულია ანგარიშში როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) ნეტო საფუძველზე თუ (i) დეპოზიტები გახსნილია ერთდროულად და ერთმანეთის მოლოდინში, (ii) მათ ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, (iii) არიან იდენტური რისკის მატარებლები და (iv) არ არსებობს აშკარა მიზეზი ოპერაციების ცალ-ცალკე აღსაღრიცხად.
ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღრიცხულია როგორც აქტივი, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულება, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები აღირიცხება მოგება-ზარალში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მიჩნეულია ცალკეულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, თუ მათი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები არ არის პირდაპირ დაკავშირებული კონტრაქტში ასახულ მონაცემებთან.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანაგრიშგებებში შესაბამის ტერიტორიებზე (სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ფუნქციონირებენ) ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში, თუ ისინი აღიარებული არ არის უშუალოდ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში უშუალოდ კაპიტალში
მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი ეფუძნება ვარაუდებს, ნებადართულია თუ არა კონსლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა და მათი საბალანსო ღირებულება ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველი აღიარების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ არის აღრიცხული კომპანიების გაერთიანების გარდა სხვა ოპერაციაში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ დროებით სხვაობის თვალსაზრისით, თუ ეს ოპერაცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ არის აღრიცხული გუდვილის თავდაპირველ აღიარებასა და შემდგომში იმ გუდვილს შორის დროებითი განსხვავების თვალსაზრისით, რომელიც არ ექვემდებარება გადასახდის დაქვითვას. გადავადებული საგადასახადო ნაშთები იზომება მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება პერიოდის მიმართ, როცა დროებითი სხვაობები შებრუნდება ან გამოყენებული იქნება მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ნეტო მოცულობა შეჯამებულია მხოლოდ ჯგუფის ინდივიდუალური კომპანიების ფარგლებში. გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით აღრიცხულია მხოლოდ მაშინ თუ აშკარაა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება და შესაძლებელი იქნება მისი დაქვითვები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია შეძენის შემდეგ შვილობილი კომპანიების გაუნაწილებელ მოგებებზე, თუ ჯგუფი არ აკონტროლებს შვილობილი კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და აშკარაა, რომ სხვაობა არ შებრუნდება დივიდენდების საშუალებში ან სხვაგვარად უახლოეს მომავალში.

.გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები სადაო არ გახდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ასეთი შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და ასეთ საკითხებზე ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა განჩინებას. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების შეფასებაში, რომელიც საჭიროა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად.

მოსალოდნელი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი. მოსალოდნელი ხარჯებისა და გადახდების რეზერვები არის გაურკვეველი ვადისა ან თანხის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დაგროვება ხდება, როცა ჯგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში არსებული მოვლენების გამო და აშკარაა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა ეკონომიკური სარგებლების მომცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის საიმედო შეფასების გაკეთება.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები გასათვალისწინებელი დივიდენდებით კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას ან ოფციონებს ნაჩვენებია კაპიტალში როგორც შემოსავლებიდან დაქვითვა, გადასახადის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით მიღებული უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნამეტი აღირებულია როგორც კაპიტალში აქციის პრემია.

დივიდენდები. დივიდენდები დაფიქსირებულია კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულია. საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, წარმოდგენილია მომდევნო მოვლენის შესახებ შენიშვნები.

შემოსავლისა და ხარჯების აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხულია ყველა სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებით დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან დანახარჯის ნაწილი, გადაავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ მოსაკრებელს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯების და ყველა სხვა შენატანის ან დისკონტის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წარმოქმნისას ან შეძენისას ბანკის მიერ მიღებულ ან გადახდილ კრედიტის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიის ან უზრუნველყოფის შეფასების და აღრიცხვის საკომისიო, ფინანსური ინსტრუმენტის შეთანხმების პირობებისა და საოპერაციო დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. საბაზრო საპროცენტო განაკვეთით სესხების გასაცემად ჯგუფის მიერ მიღებული საკომისიოები წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუ აშკარაა, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებაში და არ არის მოსალოდნელი რომ გაცემიდან მოკლე ხანში არ განახორციელდება მიღებული კრედიტის რეალიზაცია. ჯგუფი არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებას როგორც მოგება-ზარალში წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით ფინანსურ ვალდებულებებს.

როცა კრედიტების და სხვა სავალო ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო გახდება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებამდე და ამის შემდეგ საპროცენტო შემოსავალი აღიარებული იქნება მიმდინარე ღირებულების დისკონტით აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შესაფასებლად.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა სხვა საკომისიო, მოსაკრებელი და სხვა შემოსავლისა და დანახარჯის პუნქტები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით იმ კონკრეტული ოპერაციის დასრულებაზე მითითებით, რომელიც შეფასდა ფაქტობრივი გაწეული მომსახურების საფუძველზე როგორც გასაწევი მთლიანი მომსახურებების ნაწილი.

საკომისიოები და მოსაკრებლები, რომლებიც წარმოიქმნება მესამე მხარესთან დაკავშირებით ოპერაციის შეთანხმებასა ან მოლაპარაკებაში მონაწილეობის შედეგად, და რომელიც ეხება კრედიტების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენას ან კომპანიების ნასყიდობას, და რომლებიც მიიღება აღნიშნული ოპერაციის განხორციელების შემდეგ, აღირიცხება მისი დასრულებისას. პორტფელთან დაკავშირებული და სხვა მართველობითი, საკონსულტაციო და მომსახურების საკომისიოები აღრიცხულია მოქმედი მომსახურების კონტრაქტების მიხედვით, ჩვეულებრივ დროის პროპორციული ნაწილის საფუძველზე. საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებული აქტივის მართვის საკომისიოები აღრიცხულია გაწეული მომსახურების პერიოდის პროპორციულად. იგივე პრინციპი გამოიყენება ქონების მართვასთან, ფინანსურ დაგეგმვასა და სადეპოზიტო მომსახურებებთან დაკავშირებით, რომლებიც მუდმივად ხორციელდება დროის ხანგრძლივ პერიოდში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს ფუნქციური ვალუტა არის ძირითადად იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ეს საწარმო ფუნქციონირებს. ბანკის ფუნქციური ვალუტა და ჯგუფის წარმოდგენილი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თვითოეული საწარმოს ფუნქციონალური ვალუტაში შესაბამის საანგარიშო პერიოდში იმ ტერიტორიებზე არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები მოქმედებენ. სავალუტო ოპერაციებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თვითოეული საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ გამოიყენება არაფულადი პუნქტების, მათ შორის კაპიტალში ინვესტიციების მიმართ. გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა სააქციონერო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღრიცხულია როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ნაწილი

ჯგუფის თითოეული საწარმოს შედეგები და ფინანსური მდგომარეობა (რომელთა ფუნქციონალური ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნის ვალუტა) წარმოდგენილია საპრეზენტაციო ვალუტაში შემდეგნაირად:

(i) წარმოდგენილ ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული თვითოეული აქტივი და ვალდებულება კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით;
(ii) შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება საშუალო გაცვლითი კურსით (თუ ეს საშუალო არ არის ოპერაციის თარიღებისას მოქმედი კურსების კუმულატიური ეფექტის გონივრული მიახლოებითი მაჩვენებელი, რომელ შემთხვევაშიც შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება ოპერაციების განხორციელების დღეს);
(iii) კაპიტალის კომპონენტები კონვერტირდება ისტორიული კურსით; და
(iv) ყველა მიღებული საკურსო სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში.

თუ კონტროლი დაიკარგა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებისას, კურსთაშორის სხვაობა, რომელიც თავდაპირველად აღიარებული იყო სრულ სხვა მოგებაში, რეკლასიფიცირდება მოგება/ზარალის უწყისში მიმდინარე წლისათვის როგოც მოგება ან ზარალი გაყიდვიდან.შვილობილი კომპანიის ნაწილობრივი გასხვისებისას მასზე კონტროლის დაკარგვის გარეშე, დაგროვილი სავალუტო კურსის სხვაობა რეკლასიფიცირებულია როგორც არაკონტროლირებადი პროცენტი კაპიტალში.

გუდვილისა და სამართლიანი ღირებულების რეგულირება, რომელიც წარმოიქმნება უცხოური საწარმოს შეძენისას, მიიჩნევა უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და კონვერტირება ოპერაციის დასრულების დღეს. 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთებისთვის გამოყენებული საბოლოო გაცვლითი კურსი იყო 1 გირვანქა სტერლინგი =3.2579 ლარი (2015: 1 გირვანქა სტერლინგი = 3.5492ლარი; 2014: 1 გირვანქა სტერლინგი = 2.8932 ლარი); 1 აშშდ = 2.6468 ლარი (2015: 1 აშშდ =2.3949ლარი 2014: 1 აშშდ =1.8636 ლარი)., 1 ევრო = 2.7940 (1 ევრო =2.6169ლარი; 2014 : 1ევრო =2.2656 ლარი)

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

პერსონალის ხარჯები და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი,ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზედაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

სუფთა მოგება ერთ აქციაზე. ერთ აქციაზე სუფთა მოგება გამოითვლება ბანკის მფლობელებისთვის მიკუთვნებული მოგება-ზარალის საანგარიშო წლისგანმავლობაში არსებული მონაწილე აქციების შეწონილ საშუალოზე გაყოფით.

გაზავებული მოგება ერთ აქციაზე. გაზავებული მოგება ერთ აქციაზე გაანგარიშდება ბანკის მფლობელებს მიკუთვნებული მოგება-ზარალის გაყოფით ჩვეულებრივი აქციების შეწონილ საშუალო რაოდენობაზე, კორექტირებული პერიოდის განმავლობაში გაზავებული ყველა პოტენციური ჩვეულებრივი აქციის ეფექტების მიღების მიზნით. ერთ აქციაზე გაზავებული მოგებების გაანგარიშებისას, ჩვეულებრივი აქციები ითვლება გამოშვებულად მისი გაცემის დღეს.

სეგმენტის ანალიზი. საოპერაციო სეგმენტები აღრიცხულია ჯგუფის მთავარი მოქმედი გადაწყვეტილების მიმღებისთვის წარდგენილი შიდა ანგარიშგების შესაბამისი წესით. სეგმენტები, რომელთა შემოსავლები, შედეგი ან აქტივები წარმოადგენს ყველა სეგმენტის ათ ან მეტ პროცენტს, აღრიცხულია ცალკე.

წილობრივი ინსტრუმენტების დარიცხვა. წილობრივი ინსტრუმენტების დარიცხვა არის იურიდიულ პირსა და სხვა მხარეს (თანამშრომლის ჩათვლით) შორის შეთანხმება, რომელიც უფლებას აკისრებს მეორე მხარეს მიიღოს საწარმოს ნაღდი ფული ან სხვა აქტივები, რომელიც ეფუძნება სხვა საწარმოს ან ჯგუფის საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტის (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციების) ფასს (ან ღირებულებას), იმ პირობით, რომ კონკრეტული პირობები დაკმაყოფილდება, წილობრივი ინსტრუმენტების კომპენსაციის გეგმის შესაბამისად ჯგუფი იღებს მომსახურებებს ხელმძღვანელობისგან ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. წილობრივი ინსტრუმენტების მინიჭების სანაცვლოდ მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია როგორც დანახარჯი. დანახარჯის მთლიანი ღირებულება განისაზღვრება წარმოდგენილი წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვის სამართლიან ღირებულებაზე მითითებით, არასაბაზრო მომსახურების და წილობრივი უფლებების მიღების პირობების გავლენის გარეშე. არასაბაზრო წილობრივი უფლების მიღების პირობები შეტანილია წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვარაუდებში, რომელთა მიღებაც ნავარაუდევია. მთლიანი დახარჯული თანხა აღიარებულია აღნიშნული უფლებების მიღების პერიოდში, ეს არის პერიოდი რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს ყველა კონკრეტული უფლების მინიჭების პირობა. თითოეული საბუღალტრო ბალანსის წარმოდგენის თარიღისთვის, ჯგუფი იღებს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მისეულ შეფასებას, რომელთა მინიჭება ნავარაუდევია არასაბაზრო წილობრივი უფლების მინიჭების პირობებით. ის აღიარებს თავდაპირველი შეფასებების შემოწმების გავლენას, თუკი არის, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებებზე, კაპიტალში შესაბამისი კორექტირებების შეტანით..კაპიტალის ზრდა ორივე სქემის შესაბამისად, რომელიც გამოწვეულია წილობრივი კაპიტალის მიხედვით, აღირიცხება წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვში. როდესაც ხდება თანხვედრა წილობრივი უფლების მინიჭების პირობებთან, წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი მიკუთვნებულია სააქციო კაპიტალსა და სააქციო პრემიუმს. როცა ერთი გრანტის ნაწილები განაწილებულია ორ ან მეტ თარიღზე, საწარმო იყენებს წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ გადახდის ღონისძიებას. თვითოეული გრანტის ტრანშისთვის განსაზღვრული პერიოდი სრულდება, როცა თანამშრომელი ფლობს აქციების შემდგომი მომსახურების შეზღუდვებს. მინიჭებული კატეგორიის სქემის შესაბამისად, ადრინდელი წლების ხარჯები აღემატება ბოლო წლების ხარჯებს. თვითოეული ტრანში აღიარდება ხარჯად მისი მომსახურების პერიოდში კრედიტირების ჩანაწერებში კაპიტალში აქციის წილის მიხედვით.

3 მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებები და დაშვებები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო მოცულობაზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც სავარაუდოდ გონივრულია არსებულ გარემოებებში. შეფასებების მომცველი დაშვებების გარდა ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს გარკვეულ დაშვებებს საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე დაშვებები და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ცვლილებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს მოიცავს შემდეგს:

სესხებისა და ავანსების და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების გაუფასურების ზარალი. გაუფასურების შესაფასებლად ჯგუფი რეგულარულად განიხილავს თავის სესხის პორტფელს და ფინანსური იჯარიდან მისაღებ თანხებს. იმის განსაზღვრისას გაუფასურების ზარალი უნდა ჩაიწერის მოგების თუ ზარალის ანგარიშგებაში და სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში, ჯგუფი მივიდადაასკვნამდე, რომ არის გაზომვას დაქვემდებარებული მონაცემები, რომელიც მიუთითებს რომ სესხებისა ან ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების პორტფელიდანშეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებში შეფასება ექვემდებარება კლებასაღნიშნულ პორტფერში რომელიმე ინდივიდუალური სესხის კლების გამოვლენამდე. ეს მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს გაზომვას დაქვემდებარებული მონაცემებს, რომელიც მიუთითებს რომ ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსშიიყოს უარყოფითი ცვლილება, ან ქვეყნის ან ადგილობრივ დონეზე იყო გარემოებები, რომელმაც გამოიწვია ჯგუფში აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა.მომავალი ფულადი ნაკადების დაგეგმვისას ხელმძღვანელობა იყენებს მაჩვენებლებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების წარსულში არსებული დანაკარგების საფუძველზე. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება, საიმისოდ რომ შემცირდეს ზარალის მაჩვენელებსა და ფაქტობრივ ზარალს შორის ნებისმიერი სხვაობა. ფაქტობრივ ზარალსა და ზარალის გამოყენებულ მაჩვენებლებს შორის 5%-იანი ზრდა ან კლება გამოიწვევს სესხის ზარალის გაუფასურებაზე დამატებით ან ნაკლებ ხარჯებს 11,251 ათასი ლარის ოდენობით (2015: 9,707 ათასი ლარი; 2014: 7,488 ათასი ლარი) და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების გაუფასურებაზე დამატებით ხარჯებს 57 ათასი ლარის ოდენობით (2015: 37 ათასი ლარი; 2014: 10 ათასი ლარი).

ინდივიდუალური მნიშვნელოვანი კრედიტების და იჯარების გაუფასურების რეზერვები ეფუძნება ინდივიდუალური კრედიტების და იჯარების დისკონტირებული მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასებას კრედიტსა ან იჯარასთან დაკავშირებით გირაოს სახით არსებული ნებისმიერი აქტივის დაბრუნებისა ან რეალიზაციის გათვალისწინებით. ინდივიდუალური მნიშვნელოვანი კრედიტებიდან ფაქტობრივი მომავალი დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებში 5%-იანი ზრდა ან კლება, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას თანხებსა და ფულადი სახსრების ნაკადების ვადებს შორის სხვაობების შედეგად გამოიწვევს საკრედიტო დანაკარგების რეზერვში 2,701ათასი ლარი (2015: 3,677 ათასი ლარი; 2014: 2,081 ათასი ლარი). ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი იჯარებიდან ფაქტობრივი მომავალი დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებში 5%-იანი ზრდა ან კლება, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას თანხებსა და ფულადი სახსრების ნაკადების ვადებს შორის სხვაობების შედეგად და შესაბამისად 9 ათასი ლარის (2015: 2 ათასი ლარი; 2014: 2ათასი ლარი), დამატებით ან ნაკლებ ხარჯებს.

3 მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებები და დაშვებები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება. თუ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში დაფიქსირებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ვერ იქნება მიღებული აქტიური ბაზრებიდან, ისინი განისაზღვრება სხვა შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს მათემატიკური მოდელების გამოყენებას.ეს მოდელები იყენებს შეფასებას დაქვემდებარებულ საბაზრო მონაცემებს. თუმცა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი ბაზრის იმ მონაცემის შემცველი შეფასების მეთოდების საფუძველზე, რომლებიც არ ექვემდებარება შეფასებას, და მათთვის სამართლიანი ღირებულებისშეფასება უფრო ექვმდებარება შეფასებას.

3 მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებები და დაშვებები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა. ჯგუფი ექვემდებარება კორპორაციული შემოსავლის დაბეგვრას რამდენიმე იურისდიქციაში და ჯგუფის გადასახდის დარიცხვის გაანგარიშება და კორპორატიული საშემოსავლო გადასახადების დებულებები აუცილებლად მოიცავს შეფასებას და დაშვებას. იხილეთ შენიშვნა 33.

გადავადებული და არსებული საშემოსავლო გადასახადი. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2019 წლის 1 იანვრიდან, და რომელიც ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. ახალი კოდექსი ეხება ჯგუფის საშემოსავლო გადასახდის აღიარებისა და შეფასების პრინციპებს და გავლენა ახდენს ასევე ჯგუფის გადავადებულ მოგებაზე გადასახდის აქტივებსა/ვალდებულებებზე. კომპანიები არ გადაიხდისგადასახადის გადახდამდე მათ მოგებაზე საშემოსავლო გადასახდს (მიიღება 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2019 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო კავშირებისთვის, სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის) სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის ფორმით ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. დივიდენდის გადახდის შემდეგ საშემოსავლო გადასახადის 15% გადასახდელია უცხოური არარეზიდენტი იურიდიული პირებისა და უცხოელი და ადგილობრივი ფიზიკური პირებისთვის დივიდენდის გადახდის დროს, იქნება ეს სავალდებულო თუ არასავალდებულო ფორმით. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადასახდელი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადისგან. გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი ჯერ კიდევ გადასახდელია დანახარჯებზე ან სხვა გადასახდელებზე, რომელთა წარმოქმნა არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობებს, საქონლის/მომსახურებების უფასო გაწევას და სახსრების გადარიცხვას და წარმომადგენლობის ხარჯებს, რომელიც აღემატება საქართველოს საშემოსავლო გადასახადის კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას იმავე თვეში როცა ისინი წარმოიქმნა.

2016 წლის 31 დეკემბრისთვის, აქტივებზე/ვალდებულებებზე გადავადებული გადასახადი ხელახლა ფასდება იმ მოცულობამდე, რომელთა გამოყენება უნდა მოხდეს 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში.

4 ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

მიღებული საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა შეესაბამება წინა ფინანსური წლის პოლიტიკას. არ ყოფილა ახალი ან შეცვლილი სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომელიც გამოიწვევდა საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებას.

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ერთწლიანი პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2017 წლის 1 იანვარს ან შემდეგ ან მოგვიანებით, და რომელიც ჯგუფს ადრე არ მიუღია.

ფას№9, ფინანსური ინსტრუმენტები 1: კლასიფიკაციები და შეფასებები. (შესწორდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ).

ახალი სტანდარტების მთავარ მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივები უნდა იქნას კლასიფიცირებული სამ შესაფასებელ კატეგორიად: ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით, ისინი რომლებიც უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის საშუალებით (FVOCI) და ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ხორციელდება კომპანიის ბიზნეს მოდელის მიხედვით ფინანსური აქტივების მართვისთვის და როცა საკონტრაქტო ფულის მასის მოძრაობა წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდით (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ექვემდებარება ამოღებას, ის უნდა განხორციელდეს ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის ასევე აკმაყოფილებს SPPI მოთხოვნებს. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს SPPI პორტფელში არსებულ მოთხოვნებს როცა კომპანიას აქვს უფლება ამოიღოს აქტივების ფულადი სახსრების ნაკადი და გაყიდოს აქციები, შეიძლება

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

კლასიფიცირებული იყოს როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები რომლებიც არ მოიცავს ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც განისაზღვრება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდით, უნდა შეფასდეს FVPL-ში (მაგალითად წარმოებულები).ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამოყოფილი ფინანსური აქტივებიდან, მაგრამ შეტანილი იქნება ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის პირობების შეფასებაში.

- ყველა წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტი შემდგომში უნდა გაიზომოს სამართლიანი ღირებულებით. თუმცა ხელმძღვანელობას შეუძლია უპირობოდ გადაწყვიტოს და ცვლილებები შეიტანოს სხვა ყოვლისმომცველ შემოსავლის სამართლიან ღირებულებაში, იმ პირობით, რომ ინტრუმენტი არ იქნება ფლობილი გაყიდვის მიზნით. თუ წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გაყიდვის მიზნით, მაშინ სამართლიან ღირებულებაში ცვლილება წარმოდგენილია მოგება-ზარალში.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით ბასს 39-ის მოთხოვნების უმეტესობა გადატანილი იქნა შასს9-ში უცვლელად. მთავარი ცვლილება არის ის, რომ ორგანიზაცია ვალდებულია სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით წარმოადგინოს ფინანსური ვალდებულებების საკუთარ საკრედიტო რისკში ცვლილებების გავლენა.
- შასს 9 იძლევა ახალ მოდელს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღირებისთვის – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი. ის გვთავაზობს „სამ ეტაპიანი" მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხში ცვლილებებს თავადაპირველი აღირების შემდეგ. პრაქტიკულად ახალი წესები ნიშნავს, რომ კომპანიებმა დაუყოვნებლივ უნდა დააფიქსირონ 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების დროს, რომლებიც არ არის ჩათვლილი გაუფასურებულად (ან სავაჭრო დავალიანებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედების დროს). როცა საკრედიტო რისკში არის მნიშვნელოვანი ზრდა, გაუფასურება იზომება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედების დროის გამოყენებით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენებით.
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, რათა ანგარიში უფრო მიუახლოვდეს რისკის მართვას. ეს სტანდარტი უზრუნველყოფს ორგანიზაციებისთვის საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის არჩევანს ჰეჯირების შასს 9 აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასა და ყველა ჰეჯირების მიმართ ბასს 39 –ის მიდმივად გამოყენებას შორის, რადგან ეს სტანდარტი ამჟამად არ ეხება მაკრო ჰეჯირების აღრიცხვას.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება ცალკე უნდა იყოს აღიარებული, და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი უნდა ზოგადად გადანაწილზე ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 16, ლიზინგი (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველალიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგადკლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბურალტრო არიცხვის

5 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებადან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგებაამ ორი ტიპის ლიზინგს. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინასური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

